



ახალი რედაქცია დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს ოქმი №01

15.01.2024

რექტორი



პ. ხვედელიძე

სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობის  
შეფასების წესი

ნდ №2-030101-22



## შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები .....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 2. დაფინანსების წყაროები და წესი.....	4
მუხლი 3. სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, შემეცნებითი და პიროვნების პოტენციალის რეალიზებაზე და განვითარებაზე მიმართული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება .....	4
მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.....	6
მუხლი 5. ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის და ამ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება .....	7
მუხლი 6. სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, სხვ. საქმიანობის წახალისების მექანიზმი.....	7
მუხლი 8. წესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა .....	8
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები .....	8
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი.....	9



**პრეამბულა**

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესის დამტკიცების აქტით;
2. წესს და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებს და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. წესში ცვლილებები მუშავდება წესის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. წესში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. წესის ორიგინალი (ელ. ვერსიის საფით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

**გავრცელების სფერო**

1. წინამდებარე წესი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. წესი ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ წესის რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე წესში არსებული დებულებები.

**ნორმატიული საფუძვლები**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
5. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
6. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG - European Standards and Guidelines);
7. European Standards and Guidelines (ESG-2015)-ის სტანდარტები;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
9. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
10. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
11. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
12. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

**პირითადი განმარტებები და შემოკლებები**

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებს და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უბანს ან მიმართულებას, სტრუქტურული ერთეულის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ხს - ხარისხის სისტემა;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

ESG - European Standards and Guidelines;

ENQA - European Network for Quality Assurance;

სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.



**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, შემეცნებითი და პიროვნების პოტენციალის რეალიზებაზე და განვითარებაზე მიმართული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ბნსუ-ში ამ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, უფლება-მოვალეობებს და სხვ.;
2. წინამდებარე წესის მიზანია ზემოთ მითითებულ აქტივობებში ბნსუ-ს პერსონალის და სწავლის სუბიექტების (სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების) ჩართულობის, ამ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
3. ბნსუ მიიჩნევს, რომ პიროვნების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაზე და რეალიზებაზე მიმართული საქმიანობის შემადგენელი ნაწილია პერსონალის, სწავლის სუბიექტების და კურსდამთავრებულების ჩართულობა ბნსუ-ს პრაქტიკულ, შემეცნებით, შემოქმედებით და სხვ. საქმიანობაში;
4. ბნსუ-ს სამეცნიერო, კვლევით, პრაქტიკულ, შემეცნებით, შემოქმედებით და სხვ. საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
  - ბნსუ-ს პერსონალს და ბნსუ-ში დასაქმებულ სხვა პირებს (ძირითადი სამუშაოს შესრულებისგან თავისუფალ დროს);
  - ბნსუ-ს სწავლის სუბიექტებს (გარდა პირებისა, რომელთა მიმართ ბნსუ-ში გამოცემულია სტატუსის შეწყვეტის ბრძანება);
  - ბნსუ-ს კურსდამთავრებულებს;
  - პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებს (პერსონალს და სტუდენტებს) და სხვა დაინტერესებულ პირებს.
5. ბნსუ-ს პერსონალს, სწავლის სუბიექტებს და კურსდამთავრებულებს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა როგორც ბნსუ-ს, ისე ბნსუ-ს პარტნიორი ან სხვა დაწესებულების/ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მიმართოს ბნსუ-ს დაფინანსების/თანადაფინანსების მიღების მიზნით. ასევე, მათ შეუძლიათ კონკურსის გამოცხადების გარეშე დამოუკიდებლად საკუთარი ინიციატივის წარდგენა და დასმული ამოცანების გადაჭრის მიზნით ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენება. საქმიანობის სრულყოფის მიზნით ახდენს თანასაზოგადოების მოლოდინების და დამოკიდებულებების შესწავლას (გასაუბრებების და გამოკითხვების გზით);
6. ბნსუ უზრუნველყოფს ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით დაგეგმილი კვლევების/პროგრამების/პროექტების/სხვ. შესახებ ინფორმაციის საჯაროობას ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებით და საინფორმაციო შეხვედრების მოწყობის გზით;
7. ბნსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბნსუ-ს პერსონალი და სწავლის სუბიექტები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

**მუხლი 2. დაფინანსების წყაროები და წესი**

1. ბნსუ-ში წინამდებარე წესით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:
  - 1) ბნსუ-ს საკუთარი სახსრები (ბნსუ-ს საწესდებო საქმიანობის შედეგად მიღებული საკუთარი სახსრები);
  - 2) მოზილეული სახსრები (მათ შორის, ხელშეკრულებების საფუძველზე ბნსუ-სა და პარტნიორების მიერ ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, სხვ. საქმიანობის განხორციელებით/განსახორციელებლად მიღებული შემოსავლები, გრანტები, სხვადასხვა ფონდებისაგან და ორგანიზაციებისაგან მიღებული დაფინანსება; სპონსორებისგან მიღებული დაფინანსება, ინვესტიციები, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობა; სხვა კანონიერი წყაროები);
2. ბნსუ გეგმავს ზემოთ მითითებულ საქმიანობას, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ეკონომიკურ ნორმატივებს;
3. წინამდებარე წესში გათვალისწინებულ აქტივობებთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება ამ აქტივობების სპეციფიკის შესაბამისი ფინანსური რესურსები, მატერიალური-ტექნიკური რესურსების შექმნაზე, შესაბამისი აქტივობების ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო უზრუნველყოფაზე მიმართული ხარჯები;
4. ბნსუ-ს მიერ შეიძლება დაფინანსდეს როგორც ბნსუ-ს მიერ დაგეგმილი, ისე პერსონალის, სწავლის სუბიექტებისა და კურსდამთავრებულების ინიციატივები - ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში ნებისმიერი ფორმით ფორმალიზებული ინდივიდუალური და კოლექტიური საქმიანობა;
5. ბნსუ-ს პერსონალის, სწავლის სუბიექტების და კურსდამთავრებულების ინიციატივების (პროექტის/ნაშრომების/სხვ.) დაფინანსება ხდება, როგორც წესი, კონკურსის საფუძველზე. გამონაკლისი - პარტნიორ დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმი/ ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია კონკრეტული პროექტის/ნაშრომის შესრულება და მისი თანადაფინანსების ვალდებულება; ბნსუ-ს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კონკურსგარეშე ბნსუ-სთვის განსაკუთრებით აქტუალური პროექტის/ნაშრომის დაფინანსების შესახებ; ბნსუ-ს მიერ აღებული ვალდებულებები.

**მუხლი 3. სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, შემეცნებითი და პიროვნების პოტენციალის რეალიზებაზე და განვითარებაზე მიმართული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება**

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საქმიანობის, მათ შორის მისი ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება როგორც წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების, ისე ბნსუ-ს პერსონალის, სწავლის სუბიექტებისა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებების და დამოკიდებულებების შესწავლით (გასაუბრებებით და გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზით):
  - 1) ამ საქმიანობის შეფასებისთვის პირველადი ინფორმაციის შეგროვებას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი;
  - 2) ინფორმაციის შეჯამება-ანალიზი, დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავებაზე და გაუმჯობესების მექანიზმების განსაზღვრაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აშხადებს დასკვნას და განსახილველად წარუდგენს ადინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს;
  - 3) ადინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი პასუხისმგებელია ბნსუ-ში ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანობაზე და განვითარებაზე, მაქსიმალურ ხელშეწყობაზე და რესურსებით უზრუნველყოფაზე.
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საქმიანობის ხარისხის, ბნსუ-ს პერსონალის, სწავლების სუბიექტების და კურსდამთავრებულების ჩართულობის და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმი, მაგალითად:
  - 1) მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმი (მაგ., ვადების დაცვა, საქმიანობის მასშტაბი, აქტივობის თავისებურებების გათვა-



- ლისწინება, დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება, სხვ.);
- 2) მაქსიმუმის/მინიმუმის (საკმარისობის) კრიტერიუმები (მაგ., მონაწილეთა რაოდენობა, დაფინანსების, ადმინისტრაციული, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა, სხვ.);
  - 3) უპირატესობის კრიტერიუმი (გამოიყენება შეფარდებითი შეფასებებისათვის. მაგ., ბნსუ-ს განვითარებისთვის მნიშვნელობა, საზოგადოებრივი და/ან საერთაშორისო მნიშვნელობა, სხვ.).
3. სხვადასხვა ატივობებში ბნსუ-ს პერსონალის, სწავლის სუბიექტების და კურსდამთავრებულების ჩართულობის და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა რელევანტური (შესაფასებელი ასპექტის სპეციფიკის შესაბამისი) მაჩვენებლების შემუშავება და/ან ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა მაჩვენებლის გამოყენება, მაგალითად:
- 1) ნაშრომებში/პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს ნაშრომების/პროექტების მომზადებაში და ღონისძიებებში მონაწილე პირთა რაოდენობების (კატეგორიების მიხედვით) თანაფარდობა, ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 2) ნაშრომების/პროექტების/ღონისძიებების რაოდენობა (შეფასების კრიტერიუმი: კატეგორიების მიხედვით გასულ და მიმდინარე წელს ნაშრომების/პროექტების/ღონისძიებების რაოდენობების თანაფარდობა, ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 3) ნაშრომების/პროექტების შედეგები (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს მიღებული შედეგების (ნებისმიერი სახით ფორმალური ნაშრომების/პროექტების) რაოდენობების თანაფარდობა, ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 4) ღონისძიებების მასშტაბი (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების რაოდენობების თანაფარდობა (კატეგორიების მიხედვით), ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 5) წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობის დაფინანსების საკმარისობა (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს განხორციელებული და მიმდინარე აქტივობების დაფინანსების საკმარისობა და რაოდენობების თანაფარდობა, ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი დაფინანსების მოცულობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 6) შიდა და გარე დაფინანსების მოცულობა (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს განხორციელებული და მიმდინარე აქტივობების შიდა და გარე დაფინანსების თანაფარდობა, მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით; დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი თანაფარდობა მომდევნო წელს გარე დაფინანსების ზრდის მიმართულებით);
  - 7) ადმინისტრაციული, საინფორმაციო-საორგანიზაციო ხელშეწყობის საკმარისობა (შეფასების კრიტერიუმი: გასულ და მიმდინარე წელს განხორციელებული და მიმდინარე აქტივობების ადმინისტრაციული და საინფორმაციო-საორგანიზაციო ხელშეწყობის საკმარისობა და ამ პროცესში გამოყენებული ბნსუ-ს ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაოდენობების თანაფარდობა, ამ მონაცემების ზრდა/კლება გასული წლის/წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. დადებითი შედეგი - რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
4. ეფექტიანობის მაჩვენებლად, ასევე, შეიძლება იყოს გამოყენებული:
- 1) საუკეთესო ნაშრომის/პროექტის/სხვ. კონკურსში გამარჯვებულ ნაშრომთა/პროექტთა/სხვ. რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში, ნაშრომების/პროექტების/სხვ. საერთო რაოდენობის და გამარჯვებული ნაშრომების/პროექტების/სხვ. რაოდენობების თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ასეთი ნაშრომების/პროექტების/სხვ. რაოდენობების ზრდის მიმართულებით);
  - 2) ბნსუ-ს პერსონალის, სწავლის სუბიექტების, კურსდამთავრებულების დამოუკიდებელი (ინდივიდუალური/კოლექტიური) აქტივობების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენობის თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 3) ბნსუ-ს პერსონალის, სწავლის სუბიექტების, კურსდამთავრებულების დამოუკიდებელი (ინდივიდუალური/კოლექტიური) აქტივობების დაფინანსება (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში, დაფინანსების რაოდენობის თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 4) შექმნილი სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროექტი/სხვ. (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენობების თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 5) სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროექტების რეალიზება/რეალიზებაში ჩართულობა (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილობრივი/საერთაშორისო სტატუსის ღონისძიებების/პროექტის რაოდენობის თანაფარდობა (კატეგორიების მიხედვით) ყოველ მომდევნო წელს საერთაშორისო მნიშვნელობის აქტივობების ზრდის მიმართულებით);
  - 6) შექმნილი სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროექტის/პროდუქციის კომერციალიზაცია (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენობების თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 7) ბნსუ-ში და/ან ბნსუ-ს თანამონაწილეობით სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. კონფერენციების/სემინარების/სხვ. მოწყობა (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილობრივი/საერთაშორისო სტატუსის კონფერენციების/სემინარების/სხვ. რაოდენობის თანაფარდობა (კატეგორიების მიხედვით) ყოველ მომდევნო წელს საერთაშორისო მნიშვნელობის აქტივობების ზრდის მიმართულებით);
  - 8) ბნსუ-ში და/ან ბნსუ-ს თანამონაწილეობით ჩატარებულ კონფერენციებში/სემინარებში/სხვ. ბნსუ-ს პერსონალის, სწავლების სუბიექტების, კურსდამთავრებულების ჩართულობა (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენობების თანაფარდობა (გალკე კატეგორიებად - პერსონალი, სწავლების სუბიექტები, კურსდამთავრებულები), რაოდენობის თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 9) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში, სხვ. ბნსუ-ს აფილირებული პერსონალის მონაწილეობა (რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენობების თანაფარდობა ყოველ მომდევნო წელს ზრდის მიმართულებით);
  - 10) სწავლების სუბიექტების დამოუკიდებელი (არასასწავლო) საქმიანობის ორგანიზება და ეფექტიანობა (ასეთი საქმიანობაში ჩართული სწავლების სუბიექტების რაოდენობა, მათ მიერ მომზადებული ნაშრომების/პროექტების/სხვ. რაოდენობა).





რიუმ: გასულ და მიმდინარე წელს თანხების რაოდენობების თანაფარდობა, ამ მაჩვენებლის (რაოდენობების თანაფარდობის) ზრდა/ კლება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით).

3. ზემოთ მითითებული ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდება მიმდინარე წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე. რის შემდეგ სამსახური ამზადებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
4. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ასპექტებს, როგორცაა: კვლევის შედეგები; ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადება და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობა; რესურსებით კვლევების უზრუნველყოფა; საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება;
5. ზემოთ მითითებული შეფასების მოდელი შეიძლება იყოს გამოყენებული უცვლელად, მოხდეს ამ მოდელში დამატებების/ ცვლილებების შეტანა ან სხვა მოდელის შემუშავება და გამოყენება;
6. გარდა ზემოთ მითითებულისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ასევე გამოიყენება მონიტორინგის, დანატრეხებულ პირთა გამოკითხვის, გასაუბრების და მოსაზრებების შესწავლის შედეგები.

**მუხლი 5. ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართულობის და ამ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება**

1. მოთხოვნებს ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) სამეცნიერო საქმიანობისადმი აღწერს პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, პერსონალის საქმიანობის შედეგებს აღწერს მათ მიერ ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების ყოველწლიური ანგარიში. ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო სტანდარტი (ნორმატივი), მაგ., ყველა ან ერთ-ერთი ქვემოთ მითითებულიდან:

- 1) სამეცნიერო/კვლევითი/ინოვაციური ნაშრომი/პროექტი/პროდუქტი/სხვ. - მაგ., ქართულ/უცხოურ ენაზე მომზადებული რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (ავტორობა/თანაავტორობა) ან/და საქართველოში გამოცემული მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი) ან/და პუბლიკაცია/სტატია საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად იმპაქ-ფაქტორის მქონე ჟურნალში/კრებულში (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ) ან/და სათანადო წესით დარეგისტრირებული გამოგონება/პატენტი, სხვ.;
- 2) სამეცნიერო გრანტი - ბნსუ-ს პარტნიორების მიერ ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ან სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ან ბნსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი ან მაღალი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პროექტი, რომელიც იქნება წარდგენილი დაფინანსების მოპოვების მიზნით;
- 3) სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით, თეზისების გამოქვეყნებით (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ).

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლების სისტემა შეიძლება იყოს, მაგალითად, შემდეგნაირი:

	აქტივობა	მაღალი მაჩვენებელი (მოიაზრება ერთ-ერთ ვარიანტში)		საშუალო მაჩვენებელი	მინიმალური სტანდარტი
		1	2		
1.	ქართულ/უცხოურ ენაზე მომზადებული რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (ავტორობა/თანაავტორობა) საქართველოში გამოცემული მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი) პუბლიკაცია/სტატია საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად იმპაქ-ფაქტორის მქონე ჟურნალში/კრებულში (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ)	თითოეულ წელს ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთი აქტივობა
2.	სამეცნიერო გრანტი - საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ან ბნსუ-ს პარტნიორების მიერ ან სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ან ბნსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი ან მაღალი საერთაშორისო შეფასების მქონე სამეცნიერო პროექტი, რომელიც იქნება წარდგენილი დაფინანსების მოპოვების მიზნით	თითოეულ წელს ერთი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ყველა აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთ-ერთი აქტივობა
3.	სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით, თეზისების გამოქვეყნებით (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ).	თითოეულ წელს ერთი აქტივობა			

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის (სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების) და ზემოთ მითითებული სტანდარტის (ნორმატივის)/სხვა დადგენილი სტანდარტების შესრულების შემთხვევაში.

4. აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების/ნაშრომების გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომლის ავტორობით ან თანაავტორობითაა გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია, მიუთითა, რომ მიეკუთვნება ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალს, და კვლევების ცენტრს წარუდგინა გამოცემის დედანი/ასლი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით). ცენტრი ვალდებულია გადაამოწმოს ინფორმაციის ნამდვილობა და მისთვის წარდგენილი დოკუმენტები გადასცეს ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს პირის პირად საქმეში შენახვის მიზნით;

5. ბნსუ უფლებამოსილია შეფასების მიზნით გამოიყენოს ზემოთ მოცემული სქემა, შეიტანოს მასში ცვლილებები ან შეიმუშაოს და გამოიყენოს ეფექტიანობის შეფასების სხვა სისტემა.

**მუხლი 6. სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, სხვ. საქმიანობის წახალისების მექანიზმი**

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული ან სხვა გამჭვირვალე და ობიექტური და სამართლიანი მექანიზმების და პროცედურების მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საქმიანობაში ჩართულ პირთა ინდივიდუალური რეიტინგი (კატეგორიები: პერსონალი, სწავლების სუბიექტი);
2. ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირთა მიმართ (კატეგორიები: პერსონალი, სწავლების სუბიექტი) შესაძლებელია იქნას გამოყენებული არამატერიალური და/ან მატერიალური წახალისების ფორმები.



**მუხლი 7. დანართები**

1. წინამდებარე წესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე წესის საფუძველზე.

**მუხლი 8. წესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა**

1. წინამდებარე წესი საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე წესს და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ ამ წესის გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 9. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე წესით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. წინამდებარე წესის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
5. წინამდებარე წესის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზათილად ცნობა არ ვრცელდება წესის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი წესის დამტკიცების შემთხვევაში.





ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი